ნასყიდობის ხელშეკრულება №

ქ. თბილისი _____ 2014 წ.

შპს „რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი“ (რეგისტრირებული 2009 წლის წლის 15 ივლისს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო №202460103), შემდგომში – “გამყიდველი“, წარმოდგენილი ---------- (პირადი №——) სახით და _____ (პირადი/საიდენტიფიკაციო № _____) შემდგომში – “მყიდველი“, შპს „რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი“-ს მიერ 2014 წლის _____ გამოცხადებული #_____ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შპს ”რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტის” მიერ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) წესით ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზება.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ”გამყიდველი” გადასცემს ”მყიდველს” ავტოსატრასპორტო საშუალებას (_____ სახელმწიფო ნომერი _____) გაუმართავ მდგომარეობაში;

- ✓ *გამოშვების წელი -*
- ✓ *ძარის № -*
- ✓ *ძრავის № -*
- ✓ *შასის №-*
- ✓ *სარეგისტრაციო მოწმობის №*

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს (ელექტრონული აუქციონზე „მყიდველის“ მიერ ლოტზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა).

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 ”მყიდველის” მიერ ხელშეკრულები 3.1 პუნქტში მითითებული თანხა წინასწარი ანგარიშსწორებით (გადახდილი „ბე“-ს გათვალისწინებით) ჩარიცხულია შპს ”რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტის” საბანკო რეკვიზიტებზე, რაც დასტურდება მყიდველის მიერ წარმოდეგენილი საგადახდო დავალებებით (დანართი # 1);

4.2 ”მყიდველის” მიერ გადახდილი ”ბეს” თანხა ჩაითვლება ქონების ფასის საბოლოო ანგარიშსწორებისას.

5. გაყიდული ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული საერთო ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ ”მყიდველსა” და ”გამყიდველს” შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

6.1 ”გამყიდველი” ვალდებულია ”მყიდველს” გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში განსაზღვრული ქონება;

6.2 ”მყიდველი” ვალდებულია ხელშკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს ხელშკეურლების ობიექტის გატანა ”გამყიდველის” ტერიტორიიდან;

6.3 ”მყიდველი ” ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 თვის ვადაში მოახდინოს ნასყიდობის ობიექტის გადაფორმება საპატრულო პოლიციაში საკუთარი

ხარჯებით და წარუდგინოს გამყიდველს გადაფორმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
6.4 ”მყიდველი” ვალდებულია გაიღოს გაყიდული ა/მანქანის ტრანსპორტირებისა და სხვა აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯები;
6.5 ხელშეკრულების 6.2 და 6.3 პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ”მყიდველი” ვალდებულია ”გამყიდველს” გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულების 0,1 %.

7. დავის გადაწყვეტა
7.1 მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა მათ შორის წარმოშობილი უთანხმოება და დავა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით.
7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულები მოქმედების ვადა
8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

9. დასკვნითი დებულებები
9.1 ხელშეკრულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რაც ფორმდება წერილობითი ფორმით;
9.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად;
9.3 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებას.

10. მხარეთა რეკვიზიტები

”გამყიდველი” შპს ”რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი” ქ.თბილისი თამარ მეფის №15	”მყიდველი” _____
---	---